საქართველოს მთავრობის განკარგულება

№646 2016 წლის 15 აპრილი ქ. თბილისი

შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიის“ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის (შემდგომში - სამინისტრო) 100%-იანი წილის მართვის უფლებით გადაცემულმა შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიამ“ (შემდგომში - კომპანია) უზრუნველყოს:

ა) სსიპ - ქალაქ ჭიათურის №3 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების, ასევე სპორტული დარბაზისა და ღია სპორტული მოედნის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად

ჩატარების მიზნით, კომპანიამ ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები დაფინანსდეს „შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიის“ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 25 ნოემბრის №2069 და 2015 წლის 3 ივლისის №1415 განკარგულებებით გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი რესურსის, 40 000 (ორმოცი ათასი) ლარის ფარგლებში.

4. კომპანიამ უზრუნველყოს სამინისტროსათვის ინფორმაციის მიწოდება გადარიცხული თანხის ხარჯვის თაობაზე ან სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად.

5. კომპანიამ უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდეგ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის გადაცემა.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**